აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.09.2014-31.08.2015წწ)

2015 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა
კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის
ა ნ გ ა რ ი შ ი
(01.09.2014—31.08.2015)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას წარმართავს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო:

- საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან შემოსულ კანონპროექტებზე მუშაობა;
- კომისიის გამგებლობას მიკუთვნებული დარგების მიხედვით კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება;
- ეკონომიკურ სექტორში არსებული პრობლემების შესწავლა;
- უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა;
- საქართველოს პარლამენტიდან მიღებული კანონპროექტების განხილვა და მათზე წინადადებების მომზადება;
- მოქალაქეთა წერილებზე რეაგირება და კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა მიმართულებები.

საანგარიშო პერიოდში შეიცვალა კომისიის თავმჯდომარე. ასევე ცვლილება განიცადა კომისიის შემადგენლობამაც.

2015 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია ფუნქციონირებს შემდეგი შემადგენლობით:

ანზორ თხილაიშვილი - კომისიის თავმჯდომარე
ირაკლი ჯაში -კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ალექსანდრე ჩიტიშვილი - კომისიის წევრი
ეკატერინე თარგამაძე - კომისიის წევრი
რობერტ ჩხაიძე - კომისიის წევრი
ირაკლი ბარამიძე - კომისიის წევრი

I. სტატისტიკური მონაცემები

საკანონმდებლო საქმიანობის სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიისა და კომისიის წევრების მიერ წარდგენილია 17 სამართლებრივი აქტის პროექტი.

კომისიის სხდომების სტატისტიკა

- საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის მიერ სულ ჩატარებულია 26 სხდომა.
- საკომისიო სხდომებზე განხილულია 70 საკითხი.
- კომისიის სხდომებზე განხილული საკითხების თაობაზე საანგარიშო პერიოდში მომზადებულია 33 დასკვნა.
- სხდომაზე მოსმენილი იქნა 19 სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია.

კომისიაში შემოსული და კომისიიდან გასული კორესპოდენციის სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში:

- საქართველოს პარლამენტის აპარატიდან, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, უმაღლესი საბჭოს და უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან, აგრეთვე მოქალაქეებიდან კომისიაში შემოსულია სულ 406 კორესპოდენცია. აღნიშნული კორესპოდენციები კომისიის წევრებისა და კომისიის აპარატის თანამშრომლების მიერ იყო კონტროლზე აყვანილი, შესწავლილი და განხილული. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეცა შესაბამის უწყებებს, საიდანაც მიღებულია პასუხები მათ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე. აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით დადებითად იქნა გადაწყვეტილი არა ერთი პრობლემური საკითხი.
- კომისიიდან გაგზავნილია 238 ოფიციალური წერილი.

მოქალაქეთა მიღების ოფიციალური სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში კომისიის წევრების მიერ ოფიციალურად მიღებულია 926 მოქალაქე.

II. საკანონმდებლო საქმიანობა

კომისიისა და კომისიის წევრების მიერ ინიცირებულია შემდეგი სამართლებრივი აქტები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი "ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ;(N109 18.09.2014წ)

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით ,,ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ;

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თვისუფალი მიმოქცევის კოდექსში" ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ;

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.(N111 18.09.2014წ);

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტალის შესრულების მიმოხილვაზე.(N112 18.09.2014წ);

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (N128 14.05.2015წ);

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობის შემცირების შესახებ". (N137 21.05.2015წ);

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე";(N129 14.05.2015წ);

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე";

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

როგორც წამყვანმა კომისიამ უმაღლეს საბჭოს სხდომაზე განსახილველად მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სხვადასხვა სუბიექტის მიერ წარმოდგენილი შემდეგი სამართლებრივი აქტის პროექტები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ. (N112 18.09.2014წ);

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (N113 13.10.2014წ);

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“. (N115 18. 12.2014წ);

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.(N127 14.05.2015წ);

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.(N138 18.06.2015წ);

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

III. საკომისიო მოსმენები (ძირითადი საკითხები)

3.1 კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტიდან შემოსული 47 კანონპროექტი:

- საქართველოს კანონის პროექტი: **„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**;
- საქართველოს კანონის პროექტი **„მეწარმეთა შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ;
- საქართველოს კანონის პროექტი **„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს კანონის პროექტები: **„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“** საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონის პროექტი **„საინვესტიციო ფონდების შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს კანონის პროექტი **„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ;
- საქართველოს კანონის პროექტი **„დაზღვევის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- საქართველოს კანონის პროექტი **„უფასო ფულის შესახებ“**;
- საქართველოს კანონის პროექტი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ;

▪საქართველოს კანონის პროექტები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ;

▪ საქართველოს კანონის პროექტები: „საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ ;

▪ საქართველოს კანონის პროექტი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ;

▪ საქართველოს კანონის პროექტები: „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ ;

▪ საქართველოს კანონის პროექტი „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ,საქართველოს კანონის პროექტი „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ;

▪ და სხვა.

3.2 კომისიის სხდომებზე განხილული ან/და მოსმენილ იქნა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიშის თაობაზე;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის მოხსენება 2014 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქონების პრივატიზაციის პროცესის შედეგების შესახებ;
3. ა(ა)იპ „ბათუმის ინკუბატორის“ ინფორმაცია 2013 წლის 2014 წლის 9 თვის საქმიანობის თაობაზე;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაცია 2013 წლის 9 თვის ანგარიშის შესახებ;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ანგარიში 2014 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ;
6. ინფორმაცია შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის 9 თვის შესრულებისა და 2105 წლის წლიური ბიუჯეტის პროექტის შესახებ- რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადაცემული/გადასაცემი ტრანსფერების/ დახმარებების ნაწილში;
7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ინფორმაცია 2014 წლის 9 თვეში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოვლა-შენახვის ღონისძიებათა თობაზე და 2015 წლის გეგმების შესახებ;
8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ანგარიშის თაობაზე;
9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მოხსენება;

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშზე"- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოხსენება;
11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამისი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015-2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი"-ს განხილვა;
12. შპს „ბათუმის წყალი"-ს მიერ 2014 წლის 11 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ;
13. სსიპ „ბათუმის ბულვარი"-ს ინფორმაცია 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;
14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ინფორმაცია 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ;
15. საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ინფორმაცია ადგილობრივი გზებისა. სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოვლა-შენახვის საქმეში არსებული მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ;
16. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაცია 2015 წლის ტურისტული სეზონის მომზადების პირველ და მეორე კვარტალში განხორციელებული და და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
17. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების თაობაზე;
18. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ. (2016-2019წ)
19. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების თაობაზე;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მუდმივად ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგს, კერძოდ:

- საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ უმაღლეს საბჭოს წარმოუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებები 2016-2019 წლებისათვის", რომელიც წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიან კონცეფციას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები:

კომისიამ, როგორც საბიუჯეტო პროცესებზე ზედამხედველმა ორგანომ, დაგეგმა დარგობრივ კომისიებში ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვები, მოაგროვა მათი შენიშვნები რეკომენდაციები და თავის დასკვნასთან ერთად გადაუგზავნა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

- თვეში ერთხელ (ნაზარდი ჯამით) ყოველთვიურად სახაზინო სამსახური კომისიაში წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ოპერატიულ ანგარიშს, რომელიც მოიცავს რესპუბლიკური ბიუჯეტის სრულ ანგარიშს შემოსულობების, გადასახდელების, დეფიციტისა და

მისი დაფინანსების წყაროების ჩვენებით.

- ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით.

ხდება კომისიაში შემოსული ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის შესწავლა, დინამიკაში დაკვირვება, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება.

IV. სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობა

კომისიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია კომისიის წევრების მოსახლეობასთან, მასმედიის, პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრა. კომისიის წევრების მიერ მიცემულ იქნა მრავალი ინტერვიუ. მონაწილეობა გვაქვს მიღებული სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში.

კომისიის წევრებს საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიღებული აქვთ სხვადასხვა სახის შეხვედრებსა და ღონისძიებებში.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან.

V.სამომავლო პერსპექტივებია:

ა) ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესების დახვეწა;

ბ) გასვლითი სხდომების ორგანიზება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში მდგომარეობის უკეთ გაცნობისა და პრაქტიკული მხარდაჭერის მიზნით;

გ) საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება ეკონომიკური დარგების მარეგულირებელ კანონებში ცვლილების შეტანის შესახებ;

დ) ანგარიშების მოსმენა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლისა და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ანზორ თხილაიშვილი